ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4113570

ნომერი: AR1620818

თარიღი : 03.08.2018

გაცემის თარიღი : 09.08.2018

გაცნობის თარიღი : 09.08.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დაბა კოჯორი, ბიოლის ქუჩა N1ე; ქალაქი თბილისი , დაბა კოჯორი, ბიოლის ქუჩა N1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ სამხარაძე პ/ნ 54001009665
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: თქვენ მიერ განმარტებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე დამუშავებულია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმა, საჭიროა ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების დროს იხელმძღვანელოთ აღნიშნულ ტერიტორიაზე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის უფლებრივი რუკით. ამასთან, თქვენ დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება სარეკრიაციო ზონა 3 (რზ-3). რა ზონაისთვისაც გასათვალისწინებელია, რომ ა) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობებია: · პარკი; · ბაღი; · სკვერი; · ბულვარი; · მცირე არქიტექტურული ფორმები: საპარკო პავილიონი, როტონდა, ფანჩატური, პერგოლა, ურნა, ტრელაჟი, საბავშვო მოედანი, შედრევანი, დეკორატიული აუზი, წყლის სასმელი შადრევანი, კასკადი, არხი, ღია კიბე და პანდუსი, საყრდენი კედელი და სხვა; · სკულპტურულ-არქიტექტურული მონუმენტი; · სპორტული მოედანი; · პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი; · ჯიხური ან/და დროებითი პავილიონი (სავაჭრო ან/და საგამოფენო); · საწყალოსნო ობიექტი (ნავმისადგომი, ელინგი); · დასასვენებელი სახლი; · დასვენების ბანაკი და ბაზა; · სასკოლო და სკოლამდელი ასაკის საბავშვო სპეციალიზირებული (სახელოვნებო, შშმპ და სპორტული) დაწესებულებები; · დასვენების ბანაკი და ბაზა; · სანატორიუმი; · სასტუმრო. · საზოგადოებრივი ტუალეტი; ბ) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვები სახეობები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას: · სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლი; · სამაყურებლო ობიექტი (ესტრადა, ამფითეატრი, საგამოფენო დარბაზი, კინოთეატრი); · მოხუცთა, ბავშვთა და სხვათა ინტერნატი; · საავადმყოფო; · პოლიკლინიკა; · ამბულატორია; ·სპორტული შენობა-ნაგებობა (საწვრთნელი ბაზა, სპორტული მოედანი, სტადიონი, სპორტდარბაზი, ღია და დახურული საცურაო აუზები); · ატრაქციონი; · კაფე, რესტორანი; • ზონისა და მასში დაშვებული შენობა-ნაგებობის ფუნქციონერებისთვის განკუთვნილი ადმინისტრაციული შენობა, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სახელოსნოები, გარაჟები და საწყობები) . ხოლო, ასევე, ვინაიდან ითხოვთ დამხმარე შენობა-ნაგებობის განთავსებას მოგახსენებთ, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-16 მუხლის მე-2' პუნქტის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, ქვეზონაში უძრავი ქონების (ობიექტების) გამოყენების ძირითადი ან/და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით ნებადართული სახეობის ფუნქციონირებისათვის საჭირო დამხმარე შენობა-ნაგებობა (ასევე ღობე, 37-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად), რომლის არსებობაც დასაშვებია მხოლოდ მთავარ ობიექტთან ერთად, სამეზობლო თემენისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით; ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენ მოთხოვნას, დამხმარე შენობა-ნაგებობის განთავსების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ვერ დააკმაყოფილებს. აქვე გაცნობებთ რომ აღნიშნული დამხმარე დროებითი შენობა განკუთვნილი მუშებისათვის შეიძლება გათვალისწინებული იქნეს მშენებლობის სტადიაზე მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში (პოს)

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.